

K269.116
3

ბ. ი. ბაგრაძე



**ბიბლიოგრაფიული მომსახურების
ორგანიზაცია ბიბლიოთეკებში**

თბილისი
1939



გ. ბაძრაძე

ვ.ე.ე.ე.ე.

ბიბლიოგრაფიული
მომსახურების ორგანიზაცია
ბიბლიოთეკებში

მოკლე სახელმძღვანელო საბიბლიოთეკო კურსების
მსმენელებისათვის და ბიბლიოთეკარებისათვის

- დანართები: I. ბიბლიოგრაფია საქართველოსა და კავკასიის შესახებ.
II. ანოტირებული სისტემატური სია საცნობოებისა.

თბილისი
1939

საქართველოს
კავშირედასო
ბიბლიოთეკის
ბიბლიოგრაფიის
მეთოდური კაბინეტი

K 269.116
3

პ/შგ. რედაქტორი შ. ხახთიანი

გამომშვები {
კორექტორი { გ. ბაქრაძე

გადაეცა წარმოებას 2/VII-39. შეკვეთა № 1120. ხელმოწერილია დასაბეჭდად
9/XI-39. მთავლიტის რწმუნებული № 1-3114. ანაწყოების ზომა 6X10.
ქალაქის ზომა 60X22, ტირაჟი 1000.

სახელგამის სტამბა, ორჯონიკიძის ქ. № 50.

ბიბლიოგრაფია და თანამედროვე ბეჭდვითი პრობლემა.

ბიბლიოგრაფია და ბიბლიოგრაფიული მუშაობა ერთერთ ფრიად გავრცელებული სამეცნიერო და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის დარგს წარმოადგენენ. ძნელად მოიძებნება ჩვენს დროში ისეთი სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სკოლა, სამეურნეო თუ სხვა დაწესებულება, რომ ამათუბს სახით ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებს არ აწარმოებდეს უშუალოდ ან არ უკვეთავდეს სხვა ორგანიზაციას თავისი საკუთარი საჭიროებისათვის. არ არის თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მოწყობილი ბიბლიოთეკა, რომ მას არ ჰქონდეს სპეციალური ბიბლიოგრაფიული განყოფილება. პატარა რაიონული და სასოფლო ბიბლიოთეკის დებულებაშიც კი გათვალისწინებული არის ბიბლიოგრაფიული მუშაობა. აღარას ვიტყვით ე. წ. სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანოებზე, რომელნიც მუდამ ეამ ასრულებენ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოს, როგორც ფოსტა-ტელეგრაფის, ამინდის (მეტეოროლოგიური) და სხვა ასეთი დაწესებულება.

რით აიხსნება ბიბლიოგრაფიის ესოდენი განვითარება და რამ წარმოშვა იგი?

უწინარეს ყოვლისა თანამედროვე ბეჭდვითი პროდუქციის ბუმბერაზმა ზრდამ და მრავალსახეობამ.

ჯერ კიდევ მე-XV საუკუნეში, როდესაც სასტამბო ხელოვნება წარმოიშვა, მთელს ევროპაში 30.000 სახელწოდების წიგნი ე. წ. ინკუნაბულები გამოვიდა (1445—1500 წწ.). ჩვენს დროში კი ბეჭდვით ნაწარმოებს ასეთი რაოდენობით ერთი სახელმწიფო უშვებს.

1907 წელში სწავლული გერმანელი ბიბლიოთეკარი იეშკე სწერდა, არც ერთი ქვეყანა არ სცემს იმდენ წიგნს, რამდენსაც ჩვენო. მარტო ჩვენ გამოგვაქვს ბაზარზე ყოველწლიურად იმდენი წიგნი, რაც გამოაქვთ საფრანგეთს, ინგლისსა და შვერთებულ შტატებს ერთადო (Jeschke, Volksbibliotheken, გვ. 15). დღეს გერმანია ამ მხრით უკვე ჩამორჩენილია შედარებით საბჭოთა კავშირთან, რომელმაც 1928 წლიდან პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. 1932

წლიდან კი ჩვენ იმ რეკორდსაც გადაეჭარბეთ იეშკეს რომ ანკვირ-
რებდა: საბჭოთა კავშირში 1932 წელს გამოცემულია 49.900 სა-
ხელწოდების წიგნი, ე. ი. უფრო მეტი ვიდრე ორ უდიდეს კაპიტალის-
ტურ ქვეყანაში, სახელდობრ გერმანიაში (3.000 სახელწოდება) და
შვედეთებულ შტატებში (14.000 სახელწოდება) ერთად.

წიგნების რაოდენობის გამორკვევა მსოფლიო მასშტაბით ე. წ.
საერთაშორისო (ბრიუსელის) ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა დაიწ-
ყო. იგი 1895 წლიდან მოყოლებული იღებდა მსოფლიო მნიშვნელო-
ბის ბიბლიოთეკების კატალოგების პირებს. 1933 წლის 1 აგვისტო-
სათვის მას გადაღებული ჰქონდა საკატალოგო კარტაკები 15.500.000
სახელწოდების რაოდენობით. უახლესი მიახლოებულ ალრიცხვების
თანახმად მსოფლიოში ყოველ წელიწადს გამოდის 250.000 სახელ-
წოდების წიგნი. ესე იგი ყოველ 4 წელიწადში კაცობრიობას ემატე-
ბა სულ ცოტა 1 მილიონი წიგნი. (ტირაჟი აქ, რასაკვირველია, არ
მიიღება სათვალავში, იმიტომ რომ მაშინ ჩვენ ასტრონომიულ რიც-
ხვებთან გვექნება საქმე, მეტადრე თუ საბჭოთა კავშირიც ავიღეთ).

ეს—წიგნების შესახებ.

მაგრამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით და ტემპით იზრდება
პერიოდიკა, ნოტები (მუსიკალური) და გრაფიკული გამოცემები.

მარტო ბუნებისმეტყველების, ტექნიკისა და მედიცინის დარგში
მსოფლიო მასშტაბით წელიწადში გამოდის 35.000-ზე მეტი სამეც-
ნიერო ჟურნალი (1937 წ.). საერთო რიცხვი კი ყველა დარგის
სპეციალურ ჟურნალებისა 100.000 სახელწოდებას აღემატება.*)

სტატისტიკის რაოდენობა მარტო ტექნიკის დარგში ყოველ-
წლივ დაახლოვებით ერთ მილიონს უდრის! ამ რიცხვს ბევრად არ
შორდება მედიცინის, ისტორიის, ეკონომიკისა და მრავალი სხვა
დარგის სტატისტიკის რიცხვი (Z. f. B. 1937 წ., გვ. 471). უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ბევრ ქვეყნებში დიდი წილი წიგნებისა და სხვა სახის
ბეჭდვით ნაწარმოებისა ოფიციალური რეგისტრაციისა და მაშასადა-
მე, ალრიცხვის გარეშე რჩება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ დღეს უდიდესი ცოდ-
ნით აღჭურვილ კაცსაც კი უჭირდება ამ თხზულებათა ოკეანეში
გარკვევა სხვათა დახმარების გარეშე.

უკვე მე-III საუკუნეში ჩვენ ვრამდე, როდესაც წიგნებს წერი-
თა და გადაწერის საშუალებით ამზადებდნენ, წიგნები იმდენი იყო,

*) მარტო საბჭოთა კავშირში 1936 წელში, როგორც „Летопись пе-
риодических изданий СССР в 1936 г. (Москва) აღნიშნავს, გამოვიდა
9065 სახელწოდების პერიოდული გამოცემა.

რომ ორიენტირებისათვის იმდროინდელ მკითხველს კატალოგი სჭირ-
ლებოდა. ძველი საბერძნეთის მეცნიერმა მწიგნობარმა კალიმანტემ
როგორც ჩანს, განთქმულ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის შეიდასი-ათა-
სიანი ფონდის საფუძველზე კიდევაც შეადგინა კატალოგის მსგავსი
შრომა, რომელიც ცნობილია ტაბულების სახელწოდებით და რომე-
ლიც სისტემატურად და შემდეგ ავტორების მიხედვით დალაგებულ
ბიბლიოგრაფიას წარმოადგენს. ბექლდის შემოღებამ უაღრესად გაადი-
და წიგნების რაოდენობა და მასთან ერთად წიგნების სამყაროში
გარკვევის საჭიროებაც. ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეებში იყო
პრიმიტიული საბიბლიოთეკო კატალოგები, რომელიც საინვენტარო
სიებს უახლოვდებოდა და რომ იმ დროსვე გაჩნდა პრიმიტიული ბიბ-
ლიოგრაფია ე. წ. საბაზრო კატალოგების სახით (Messkataloge*).
რასაკვირველია, წიგნების რაოდენობის პროგრესულ ზრდასთან
ერთად განათლებულ საზოგადოებაში იზრდებოდა მოთხოვნილება ისეთ
წყაროზე, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა არა მარტო ის წიგნები, რო-
მელიც ამათუიმ ბიბლიოთეკაში მოიპოვება, არა მარტო ის წიგნები,
რომელიც ამათუიმ სავაჭროს გააჩნია ან ამათუიმ გამოცემლობას
აქვს გამოცემული, არამედ ყველა ის წიგნები და გამოცემები მთე-
ლი ის ბექლდითი პროდუქტია, რომელიც საზოგადოდ არის გამოსუ-
ლი,— ე. ი. ნამდვილი ბიბლიოგრაფია თანამედროვე გაგებით.

ამრიგად, წიგნების სიმრავლემ და მათს სამყაროში გარკვევა-
ორიენტირების მოთხოვნილებამ წარმოშვა ბიბლიოგრაფია.

ცნობილია, რომ საჯარო და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების
ზრდასთან ერთად მე-XIX და მეტადრე მე-XX საუკუნეში უაღრესად
გაიზარდა მკითხველებისა და აბონენტების რაოდენობა და მათი
კულტურული დონე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ბიბლიოგრაფიის
განვითარებას და ბიბლიოგრაფიული მომსახურეობის დიფერენციაცი-
ას. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას საბჭოთა კავშირის შესახებ,
რადგანაც ამ მხრით საბჭოთა კავშირს სრულებით განსაკუთრებული
აღდგელი უკავია.

ჩვენი მკითხველთა მასის ინტელექტუალური დონე უმაგალი-
თოდ გაიზარდა და მასთან ერთად გაიზარდა მისი მოთხოვნილებანი
ბიბლიოთეკებისა და წიგნის მიმართ. ძლიერ გამრავლდა „სპეცია-
ლური მკითხველი“ „საზოგადოდ მკითხველის“ ხარჯზე. რალიტერა-
ტურა არსებობს დედამიწის წარმოშობაზე, ატომის ბირთვზე, გვალ-
ვის მიწათმოქმედებაზე? სად ვიშოვოთ საუკეთესო წიგნი სტაბა-

*) ე. ი. ჩვენი დროის „საგამომცემლო ბიბლიოგრაფია“ — „Издательская
библиография“.



ნოეური მოძრაობის შესახებ, პარაშუტიზმის შესახებ, ვარსკვლავების შესახებ და ათასი სხვა საკითხის შესახებ! ბუნებრივია, რომ ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად მკითხველი მიდის იქ, სადაც თავს იყრის წიგნების მასა—ბიბლიოთეკაში. აქედან ჩნდება ბიბლიოთეკის მუშაობაში ახალი დარგი—ბიბლიოგრაფიული მომსახურება და, მაშასადამე, ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

ბიბლიოგრაფიის უმოკრესი სახეები და ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული მუშაობა.

ბიბლიოგრაფიის მიზანია ცნობაში მოიყვანოს ყველა ის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რუკები, ნოტები და ერთი სიტყვით მთელი ის ბეჭდვითი პროდუქცია, რაც სახელმწიფოში გამოდის (ე. წ. რეგისტრაციული ბიბლიოგრაფია) და შემდეგ გადაარჩიოს იგი მკითხველთა კატეგორიის (განათლების, ასაკისა და სხვა მომენტების) მიხედვით, კრიტიკულად გააშუქოს, შეაფასოს როგორც ფართო მასისათვის, ისე ვაწრო სპეციალისტისათვის განკუთვნილი ლიტერატურა (ე. წ. კრიტიკული და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია) და ბოლოს შესაფერისად განმარტებული დაბეჭდილი სიებისა და საძიებლების სახით მიაწოდოს მკითხველთა მასას და ამნაირად გაუადვილოს მას სხვადასხვა ბეჭდვით ნაწარმოებებში გარკვევა.

მე-XIX საუკუნიდან უმთავრესად და ზოგიერთ ქვეყნებში კი მე-XX საუკუნიდან სახელმწიფო იღებს თავის თავზე ბიბლიოგრაფიის საქმეს, უკეთ რომ ვთქვათ, ერთ მის საკმაოდ დიდსა და რთულ შტოს — მთელი ბეჭდვითი პროდუქციის შეგროვება — რეგისტრაციას სახელმწიფოს საზღვრებში და შესატყვის სიების პერიოდულად გამოქვეყნებას. აქედან სახელწოდება „რეგისტრაციული“ და „სახელმწიფო ბიბლიოგრაფია“ (საფრანგეთში „დოკუმენტალური ბიბლიოგრაფია“).

რეგისტრაციულ ბიბლიოგრაფიას — ე. ი. ბეჭდვით ნაწარმოებთა შეგროვებას, აღწერასა და შემდეგ დაბეჭდილი სიების გამოქვეყნებას — ჩვენი კავშირის თვითნებულ რესპუბლიკაში ე. წ. წიგნის პალატები ანხორციელებენ. როგორც ვიცით ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში გამოცემულია კანონი, რომლის ძალით ყველა გამომცემელი ვალდებული არიან ჩააბარონ წიგნის პალატებს თავის გამოცემების გარკვეული ეგზემპლარები სტამბიდან გამოსვლამდე. ეს — ე. წ. სავალდებულო ეგზემპლარებია, რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკებში 45 და 50-მდე მერყეობს. წიგნის პალატები იტოვებენ თავიანთის 3-4 ცალს — ეს საკონტროლო სავალდებულო ეგზემპლარებია. დანარჩენ სავალდებულო ეგზემპლარებს კი (40-45) უგზავნიან დიდ, საკავშირო მნიშვნელობისა და რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკებს



მთავრობის მიერ დამტკიცებულ საგანგებო სიის თანახმად, საკონტროლო სავალდებულო ეგზემპლარებს პალატები იყენებენ თავიანთი პერიოდული ორგანოების — „მატიანეებისა“ და „Летопись“-ების შესადგენად.

სახელმწიფო რეგისტრაცია ბეჭდვით ნაწარმოებისა და წიგნის პალატები არსებობს აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში (მცირე გამოანაკლისით), ოღონდ პალატები იქ სხვა სახელწოდებებს ატარებენ. საერთო ნაკლი საზღვარგარეთ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებისა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ისინი მხოლოდ კვალიფიციურ მეცნიერებისათვის არის განკუთვნილი და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მიუწვდომელი და გამოუყენებელი რჩება. ამრიგად, ბეჭდვითი ნაწარმოებების შეგროვება და აღნუსხვა ან ე. წ. რეგისტრაციული ბიბლიოგრაფია ყველა ქვეყნებში მინდობილი აქვთ საგანგებოდ შექმნილ რეგისტრაციული ბიბლიოგრაფიის დაწესებულებებს.

რაც შეეხება კრიტიკულ, სარეკომენდაციო და სხვა სახის ბიბლიოგრაფიას, იგი რჩება სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების, გამოცემლობების, მსხვილი ჟურნალ-გაზეთებისა და ბიბლიოთეკების ხელში (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

მოკავშირე რესპუბლიკების წიგნის პალატების შორის **ჰსტსრ**. წიგნის პალატა ასრულებს საკავშირო პალატის როლს (Всесоюзная книжная палата) და საერთო ხელმძღვანელობას უწევს დანარჩენ პალატებს. აქ არ შეიძლება მოკლეთ მაინც არ შეეხოთ მას რადგანაც მკითხველთა მოსახლეობის მომსახურების თვალსაზრისით ბადალი არა ჰყავს მთელ მსოფლიოში. 1937 წლიდან (ნაწილობრივად 1928 წლიდან) საკავშირო წიგნის პალატა აწარმოებს ბეჭდვითი პროდუქციის რეგისტრაციას საკავშირო მასშტაბით, ადგენს მრავალი სახის სისტემატიზირებულ სიებს და აქვეყნებს მათ თავის პერიოდულ გამოცემებში. სამწუხაროდ ზოგიერთ ჩვენ ბიბლიოთეკას არა აქვს შეგნებული ამ გამოცემების მნიშვნელობა, არ იწერავს მათ და ამით შეგნებულად თუ შეუგნებლად თვითონვე აფერხებს მკითხველთა მომსახურების საქმეს. ამ გამოცემების გარეშე, რასაკვირველია, სრულებით შეუძლებელია ბიბლიოთეკაში სანდო და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ჩვენს კავშირში გამოსული ლიტერატურის შესახებ. ამიტომ ბიბლიოთეკების საყურადღებოდ ავწერთ აქ ყველა ამ გამოცემებს შეძლებისდაგვარად ამომწურავად.*) ყოველი

*) მომყავს აქვე საკავშირო წიგნის პალატის მისამართი: **М о с к в а, Новинский Бульвар № 20, Всесоюзная Книжная Палата.**

თანამედროვე ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას უნდა ჰქონდეს ეს გამოცემები:

1. „Книжная летопись“ — გამოდის ექვსდღიურში ერთხელ (მოსკოვში) და შეიცავს სისტემატიზირებულ სიას ყველა იმ წიგნებისა, რაც ერთი ექვსდღიურის განმავლობაში გამოვიდა ჩვენს კავშირში. (Книжная летопись-ში არ იწესდება მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების მცირეტირაჟიანი უწყებრივი გამოცემები).

2. „Летопись периодических изданий СССР“ — გამოდის 1934 წლიდან წელიწადში ერთხელ. შეიცავს ყველა პერიოდულ გამოცემას (ჟურნალებს, გაზეთებს, კვირეულებს, სამეცნიერო შრომებს, ბიულეტენებს და სხვ.) რაც კი საბჭოთა კავშირში 1 წლის განმავლობაში გამოვიდა. ჟურნალები და გაზეთები ჩამოთვლილია ცალცალკე რესპუბლიკების მიხედვით, ანბანურად, საგნობრივი საძიებელი დართული აქვს ბოლოში.

3. „Нотная летопись“, გამოდის 1931 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ. ამ გამოცემაში იწესდება ნოტები და ნაწილობრივად წიგნები მუსიკის შესახებ.

4. „Картографическая летопись“, გამოდის 1931 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ; შეიცავს რუკების აღწერილობებს.

5. „Изо-летопись“, გამოდის 1934 წლიდან წელიწადში ოთხჯერ, შეიცავს სურათების პლაკატების, დიაგრამებისა და სხვა გრაფიკული გამოცემების აღწერილობებს.

6. „Газетная летопись“, გამოდის 1936 წლიდან ორჯერ თვეში; შეიცავს სისტემატიზირებულ სიას იმ საგაზეთო წერილებისა, რომელიც იბეჭდება ცენტრალურ საკავშირო (მოსკოვის) და მოკავშირე რესპუბლიკების მთავარ გაზეთებში.

7. „Журнальная летопись“, გამოდის 1926 წლიდან; იცემა ხან ორჯერ თვეში, ხან ყოველდღეადაურად; შეიცავს იმ სტატიების სისტემატიზირებულ სიას, რომლებიც იბეჭდება სპეციალური და ზოგადი ხასიათის ჟურნალებში. ძვირფასი წყაროა ყოველგვარი სპეციალური ბიბლიოგრაფიული სიების შედგენისათვის.

8. „Летопись рецензий“, გამოდის 1935 წლიდან წელიწადში ერთხელ, 1938 წლიდან კი — ყოველთვიურად; შეიცავს ყველა იმ რეცენზიების სიას, რომლებიც მოთავსებულია სსრკ-ის ჟურნალებში და გაზეთებში (დაახლოებით 50 გაზეთში).

9. „Ежегодник диссертаций“, გამოდის 1938 წლიდან, როგორც ყოველწლიური გამოცემა; პირველი ნაკვეთი (1938 წლისა) შეიცავს სიას ყველა იმ დისერტაციებისა, რომელიც 1936 წელში იყო წარდგნილი სამეცნიერო დაწესებულებებში.



აქვე მოგვყავს საქართველოს წიგნის პალატის პერძობით
 ბიბლიოგრაფიული ორგანოები:

1. „წიგნის მატთანე“, გამოდის თვეში ერთხელ, 1938 წლის იანვრიდან; შეიცავს მთელ იმ ბეჭდვით პროდუქციას (წიგნების, ნოტების, რუკების და სხვა) რაც ერთი თვის განმავლობაში გამოდის საქართველოს სსრ-ში.*)

2. „გაზეთის სტატიების მატთანე“, გამოდის 1938 წლიდან თვეში ერთხელ (1939 წლიდან კი სამჯერ); შეიცავს დეშიფრირებულ სათაურებს იმ სტატიებისას, რომელიც იბეჭდება „კომუნისტში“, „ახალგ. კომუნისტში“, „კომუნ. განათლებაში“, „მუშაში“, „საბჭოთა აფხაზეთში“, „საბჭოთა აჭარაში“, „Миря Востока“ და „Советская Абхазия“-ში.

თანამედროვე ბიბლიოთეკის საქმიანობაში ბიბლიოგრაფიულ მუშაობას უდიდესი ადგილი უკავია. იგი ორი მთავარი სახით გამოიხატება: ა) სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული შრომების შედგენასა და გამოცემაში და ბ) უშუალოდ მკითხველების ფართო ყოველდღიურ მომსახურებაში ცნობების მიწოდებით, კონსულტაციით, წიგნების გამოფენებით და სხვა. მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკამ შეადგინა და ამჟამად დასაბეჭდად ამზადებს აღწერილობას იმ ეურნალ-გაზეთებისა, რომელიც გამოსული არის ძველი რუსეთის ტერიტორიაზე 1900—1917 წლებში. ეს შრომა განეკუთვნება ე. წ. რეტროსპექტიულ ბიბლიოგრაფიას. რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის ამოცანაში საზოგადოდ შედის სწორეთ იმ ძველი წლების ბეჭდვითი პროდუქციის აღწერილობა, რომელსაც რეგისტრაციული ბიბლიოგრაფია სულ არ შეეხება. რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის, რადგანაც ის აწვდის თანამედროვე მკვლევარს წარსულში უკვე გამორკვეულ ან გაშუქებულ ფაქტებს ამათუიმ საკითხზე და უზოგავს მას დიდს დროსა და შრომას. რეტროსპექტიულ ბიბლიოგრაფიულ შრომებს ჩვეულებრივად სამეცნიერო დაწესებულებები და ბიბლიოთეკები ადგენენ და ბეჭდავენ. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასაც აქვს შედგენილი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი შრომა რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიიდან, სახელდობრ, ქართულ ეურნალებში 1852 წლიდან 1906 წლამდე მოთავსებული სტატიების სრული სის-

*) რაც შეეხება წინა წლებში გამოსულ წიგნებს, საქ. წიგნის პალატას შედგენილი აქვს ქართული წიგნის სრული სისტემატური კატალოგი 1629 წლიდან—1937 წლამდე, რომელსაც ამზადებს დასაბეჭდად ორ ტომად: I ტ. (1629—1920 წწ.) და II ტ. (1921—1938 წწ.).

თემატური საძიებელი. იგი კარტოთეკის სახით არის დალაგებული და ბიბლიოთეკა ახლა ემზადება მის გამოსაცემად.

ავილოთ რამდენიმე მაგალითი აგრეთვე სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიიდან. სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის ამოცანას შედგენს მიაწოდოს მკითხველთა ფართო მასას ამონარჩევი წიგნების სია სხვადასხვა დარგებიდან. ასეთ სიაში მოთავსებულ წიგნის სათაურს ჩვეულებრივად მოსდევს ანოტაცია ე. ი. მოკლე შინაარსი ამ წიგნისა და მისი დახასიათება, ხოლო სიას მთლიანად წინ უძღვის პატარა წინასიტყვაობა.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკას შედგენილი და გამოცემული აქვს მშვენიერი ბიბლიოგრაფიული საძიებელი ლიტერატურისა ნივთიერების აღნაგობის შესახებ ასეთი სათაურით: Проблемы современной физики. Строение вещества. Рекомендательный список литературы. Л. 1936 г. Изд. Гос. Публичной библиотеки им. Салтыкова-Щедрина. 14 გვ.

წინასიტყვაობაში სხვათაშორის ნათქვამია, რომ ზოგიერთი ფაქტები მეცნიერებაში სულ აუხსნელი დარჩა ძველი „კლასიკური ფიზიკის“ თვალსაზრისით და ამან საბაბი მისცა ბურჟუაზიულ ფიზიკოსებს იდეალისტურად განემარტათ ბუნების მოვლენებიო. შემდეგ წინასიტყვაობის ავტორი ამბობს: „დიალექტიკური მეთოდის ბასრი იარაღით შეიარაღებული საბჭოთა მეცნიერება გამწვავებულ ბრძოლას აწარმოებს ბუნებისმეტყველების იდეოლოგიურ ფრონტზე“. წიგნაკი გამოცემულია ცნობილი პოპულარიზატორის — ბუნებისმეტყველის ი. ა. პერელმანის რედაქციით და შეიცავს შერჩეულ და ანოტირებული წიგნების სიას. წიგნები სისტემატიზირებულია მკითხველთა მომზადების დონის მიხედვით.

უკრაინის სსრ განსახკომთან არსებულ „ბიბლიოთეკათმცოდნეობის და მასობრივი ბიბლიოგრაფიის კაბინეტს“ კიევში გამოცემული აქვს პატარა მაგრამ გულდასპობი შერჩეული საძიებელი შოთა რუსთაველის 750 წლისთავთან დაკავშირებით: „Шота Руставели до 750-ліття дня народження“ Київ. 1937. ამ პატარა საძიებელში ჩამოთვლილია „ვეფხისტყაოსნის“ ყველა რუსული და უკრაინული თარგმანები და შემდეგ სია ამონარჩევ სტატიებისა, რომელიც რუსულ და უკრაინულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოს გამოცემული აქვს ვლ. კახიანის ბროშურა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“, ქართულ ენაზე არსებული მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული საძიებელი ანოტა-

ციებით, რომელიც წარმოადგენს პირველ ნაშრომს სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიიდან ქართულ ენაზე.



სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს, მეტადრე მასობრივ ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილ საძიებლებს, უკანასკნელ დროში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტები*) სცემენ.

ასეთია, მოკლეთ რომ დავახასიათოთ, ბიბლიოთეკების მუშაობა ბიბლიოგრაფიული შრომების გამოცემის დარგში. ჩვენ აქ აღარ შევჩებებით ბიბლიოგრაფიის სხვა დარგებს (ეს შემდგომ ბროშურაში იქნება გაშუქებული) და პირდაპირ გადავალთ ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაზე.

თუ რა დონეზე იქნება დაყენებული ბიბლიოგრაფიული მომსახურება, რაოდენი ინტენსივობით იქნება გაშლილი—ეს სავესებით ბიბლიოთეკის ტიპზე და მის კადრებზე და მატერიალურ შესაძლებლობაზე არის დამოკიდებული. მაგრამ რა პირობებშია ც არ უნდა იმყოფებოდეს ბიბლიოთეკა, მან საამისოდ წინასწარ უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და შემდეგ გახსნას ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

*) ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეთოდკაბინეტები არის ლენინგრადში, ოდესაში, კიევში, ივანოვოში, გორკიში, თბილისში, ბაქოში, ერევანში. მასობრივი ბიბლიოთეკები უნდა დაუკავშირდნენ ყველა ამ კაბინეტებს.

ბიბლიოგრაფიული განყოფილების ორგანიზაცია

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვაწყოთ ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული განყოფილება და საჭირო ინტენსივობით გავშალოთ მუშაობა?

უწინარეს ყოვლისა უნდა შევქმნათ სათანადო სამუშაო აპარატი: — სპეციალური საცნობო წიგნების, ბიბლიოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ლიტერატურის ფონდი და სპეციალური ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები. ბიბლიოთეკაში ამისათვის უნდა იყოს მიჩენილი ცალკე ოთახი ან, თუ ეს ვერ ხერხდება, ოთახის ნაწილი.

წიგნთსაცავის საერთო ფონდიდან უნდა ამოღებული და გადატანილი იქნეს ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ყველა დარგის საცნობოები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები და ბიბლიოგრაფიული შრომები. თუ ბიბლიოთეკას არა აქვს ამგვარი ლიტერატურა, იგი შეძლებისდაგვარად უხვად უნდა იქნეს შეძენილი და შემდეგ ძირითადი ფონდი მუდმივ იკუმბოდეს ამავე დარგების ახლად გამოშული ლიტერატურით. სახელმწიფო საისტორიო ბიბლიოთეკას მოსკოვში თავის ბიბლიოგრაფიულ ფონდში დაგროვილი აქვს 10 000 სახელწოდების წიგნი, ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკას — 12 000 სახ. წიგნი.

აქ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს კერძოდ ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის შესახებ. საქმე ისაა, რომ ეს ლიტერატურა, მეტადრე სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებლები ჩვენს დროში სწრაფად მრავლდება და ასევე სწრაფად ძველდება და ჰკარავს აქტუალობას. უმრავლეს შემთხვევაში ძველმა საძიებელმა და საცნობო წიგნმა ადგილი უნდა დაუთმოს ახალ საძიებელსა და ახალ საცნობოს. ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მომუშავე თანამშრომელმა მუდამ თვალი უნდა ადევნოს, როგორც ახლადგამოსულ წიგნებს და სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებს, ისე ზოგად პრესას და ზოგად ჟურნალებს. უამისოდ მას ყურადღებიდან ყოველთვის გამოჩემა ბევრი ახალი ბიბლიოგრაფიული წყარო და მისი განყოფილებისათვის საჭირო ლექსიკონი, საცნობო და სხვა წიგნი.



რომ ბიბლიოგრაფიული განყოფილება მტკიცე საფუძველზე იყოს დაყენებული ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იქნება გამოყოფილი მის გამგედ. ყოვლად დაუშვებელია იქ „დროებითი მომუშავის“ დაყენება. ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა მდიდარია და მის „ათვისებას“ საკმაო დიდი ენერგია და, რაც მთავარია, მიდრეკილება უნდა. ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მიმაგრებული უნდა იყოს ისეთი ბიბლიოთეკარი, რომელსაც მტკიცედ ექნება გადაწყვეტილი სპეციალიზაცია ბიბლიოგრაფიაში და ხალისით შეუდგება მუშაობას. საზოგადოდ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში სამუშაოდ საჭიროა, ასე ვთქვათ მწიგნობრული მიდრეკილების კაცი, რომელიც, თავისთავად, დავალების გარეშე, ეტანება წიგნს და წიგნის კითხვის მოყვარეა. თავისთავად იგულისხმება, რომ ამასთანავე ერთად ის უნდა იყოს პოლიტიკურ საკითხებში სავსებით გარკვეული, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას დაუფლებული, თანადროულად მოაზროვნე საბჭოთა საზოგადოებრივი მოღვაწე. აი, რას ამბობს ამხანაგი ი. ბ. ხტალინი მარქსისტულ-ლენინური განათლების მნიშვნელობის შესახებ:

„...აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც ვნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით,—რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამკაცე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება“...

და კიდევ ქვემოთ:

„...აუცილებელი არ არის, რომ სპეციალისტი-მედიკოსი იმავე დროს ფიზიკის ან ბოტანიკის სპეციალისტი იყოს, და პირიქით. მაგრამ არც მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლოშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნისზმის გამარჯვების შესახებ. ვინაიდან არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ ლენინელად კაცი, რომელიც თავის თავს ლენინელს

უწოდებს, მაგრამ ჩაკეტილია თავის სპეციალობაში, ჩაკეტილია, ვთქვათ, მათემატიკაში, ბოტანიკასა ან ქიმიაში და თავის სპეციალობის იქით ვერაფერს ხედავს. ლენინელს არ შეუძლია იყოს მხოლოდ მის მიერ ამორჩეული მეცნიერების დარგის სპეციალისტი, — იგი ამასთანავე ერთად უნდა იყოს პოლიტიკოსი — საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც ცხოველი ინტერესით ეკიდება, თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს, რომელიც იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომელიც ცდილობს იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილე“... (იხ. ი. ბ. სტალინი საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, თბ. 1939. გვ. 52-53).

პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ბიბლიოგრაფს დიდი რაოდენობით უხდება ცნობების გაცემა ისეთ თემებზე, როგორიც არის მიმდინარე პოლიტიკა, სოციალისტური მშენებლობა, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და ლენინიზმის შესწავლა, ლიტერატურული კრიტიკა და მრავალი სხვა აქტუალური თემა. თუ როგორ უნდა იყოს შედგენილი ცნობა, ამის შესახებ რსფსრ-ის განსახკომის ერთერთ მითითებაში ნათქვამია: „ყოველი ბიბლიოგრაფიული ცნობა და თვითონ ხასიათი საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისა, ყოველი წიგნების გამოყენა პარტიულად უნდა იყოს გამახვილებული, ფართოდ უნდა გაუწიოს პრობანდა ლენინ-სტალინის რევოლუციურ თეორიას, ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს და ჩვენი პარტიის მტრებთან საბრძოლველად იყოს მიმართული“ („Бюллетень НКП РСФСР 1935 г. № 10. Приказ по библиотечному управлению).

თავისთავად ცხადია აგრეთვე რომ ბიბლიოთეკარი ამომწურავად უნდა იცნობდეს თავის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს, მის შემადგენლობას და ყველა კატალოგებს, რომ საჭირო შემთხვევაში ცნობის გაცემა არ დააყოვნოს.

გადავედივართ ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფონდის შემადგენლობაზე. აქ, რასაკვირველია, პირველ რიგში ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა უნდა იყოს წარმოდგენილი შეძლებისდაგვარად ამომწურავად. გარდა საკავშირო (მოსკოვის) და საქართველოს წიგნის პალატების პერიოდულ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებისა, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, აქ უნდა იყოს აგრეთვე ცალკე წიგნებად გამოცემული ბიბლიოგრაფიული საძიებლები ქართულ ენაზე, მაგალითად:

1. შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე (ბიბლიოგრაფიული საძიებელი), შედგენილი ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მიერ შ. ასათია-



ნის რედაქციით. თბილისი. 1937 წ. 57 გვ. საქ. სსრ განსახილველ მოცემა.

2. ლიტერატურა ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ (ქართულ და რუსულ ენაზე) (იხ. ბროშურა: მეთოდური წერილი 8 მარტის დღის ჩატარების შესახებ მასობრივ ბიბლიოთეკებში. თბილისი 1938 წ. ვანათლების სახ. კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოს გამოცემა. 8 გვ.)

3. ჩხენკელი, არკ. დოც. რა წიგნიკითხო ქიმიში. (ბიბლიოგრაფიული საძიებელი ქართულ ენაზე არსებული პოპულარული ლიტერატურისა, ანოტაციებით) თბილისი. 1937 წ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა. 12 გვ.

4. შელიქნეთ-ბეგი, ლ. პროფ. მასალები ამიერ-კავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის I. თბილისი 1937 წ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა. 32 გვ. (სერია № 5).

შენიშვნა: შეიცავს ორ ბიბლიოგრაფიულ სიას: 1. „მასალები ქართული ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“ (ნ. აკერმანისა), რომელშიც მოყვანილია უმთავრესად ბიბლიოგრაფიული წყაროები ქართული წიგნის შესახებ და ნაწილობრივად საძიებლები საქართველოს შესახებ და 2. „მასალები სომხური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“ (საძიებლები სომხეთისა და სომხური წიგნის შესახებ)

5. შელიქნეთ-ბეგი, ლ. პროფ. მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის. II — III. თბილისი 1938 წ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა. 28 გვ.

შენიშვნა: შეიცავს ორ ბიბლიოგრაფიულ საძიებელს: 1. მასალები ქართული ხელნაწერთა კატალოგების ბიბლიოგრაფიისათვის. 2. Материалы для полной библиографии работ Н. Я. Марра.

აქვე უნდა იყოს ბიბლიოგრაფიული წყაროები, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა, მაგალითად გაზეთ „კომუნისტი“.

1. ხანიშუშო გეგმა. მოხსენებისა და საუბრისა სსრ კავშირში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავის შესახებ. ლიტერატურის სიის თანდართვით (იხ. „კომუნისტი“ 1938 წ., 1 ნოემბერი (№ 251))

2. ხანიშუშო გეგმები მოხსენებებისა და საუბრებისა 1938 წლის 1 მაისისათვის. საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პარტკაბინეტის მიერ შედგენილი, ლიტერატურის სიის თანდართვით (იხ. „კომუნისტი“ 1938 წ. 28 აპრილი, № 96).

3. ხანიშუშო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის მუშაობისა. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება (იხ.

„კომუნისტი“ 1938 წ. 9 მარტი, (№ 55) და 10 მარტი (№ 56) ლიტერატურის სიის თანდართვით.

ჩვენს ბიბლიოთეკებში საკმაოდ ბევრი რუსული წიგნები და ეს სავსებით გასაგებია. რუსულ ენაზე ერთ რომელიმე საკითხის შესახებ ათჯერ და ოცჯერ მეტი წიგნი არის გამოცემული ვიდრე სხვა რომელიმე ენაზე. ბევრი სავნისა და საკითხის შესახებ ქართულ ენაზე არ არის არავითარი ლიტერატურა. არა გვაქვს მაგალითად ენციკლოპედიები და სხვა წიგნები. თუ რუსული წიგნები არ წავიკითხებთ აუცილებლად ჩამოვრჩებით!

მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეიძლება რუსულ ფონდებს ბიბლიოთეკებში მოვწყვიტოთ რუსული ბიბლიოგრაფია, რომელიც გვებმარება ურიცხვ რუსულ წიგნების გარკვევაში. ამიტომ ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფონდში აუცილებლად უნდა იყოს აგრეთვე რუსული ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა. ცალკე წიგნებად გამოცემულ საძიებლებიდან პირველ რიგში შეიქნებინა უნდა იქნეს:

Справочник к II и III изданиям сочинений В. И. Ленина. М. 1935 г. Партиздат ЦК. ВКП (б). VII, 539 стр. (Институт Маркса-Энгельса-Ленина при ЦК ВКП (б))

ეს წიგნი შესდგება ოთხი შემდეგი საძიებლისაგან:

1. Алфавитный указатель работ В. И. Ленина, вошедших во II и III, издания сочинений, гл. 1—81.
2. Предметный указатель ко II и III изд. сочинений В. И. Ленина, гл. 83—438.
3. Указатель имен ко II и III изд. соч. В. И. Ленина, гл. 439—502.
4. Алфавитный указатель работ В. И. Ленина, К. Маркса и Фр. Энгельса, используемых и упоминаемых Лениным, гл. 503—522.

საძიებლებს წინ უძღვის რედაქტორის, В. В. Адоратский-ს წინასიტყვაობა საძიებლებით სარგებლობის შესახებ.

და შემდეგი ბიბლიოგრაფიული ჟურნალები:

1. „Марксистско-Ленинская литература“. Бюллетень ИМЭЛ ყოველთვიური ჟურნალია, გამოდის 1936 წლიდან.
2. „Книга и пролетарская революция“. Ежемесячный журнал марксистско-ленинской критики и библиографии. გამოდის 1932 წლიდან.
3. „Что читать“. Ежемес. журн. рекомендательной библиографии. Научно-исследов. Института библиотековедения и рекомендательной библиографии.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბიბლიოგრაფიული ფონდის ერთერთ ფრიად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს სხვადასხვა დარგის საცნობოები (справочник) შეადგენენ. საცნობოს ყველა კატეგორიის მკითხველი მიმართავს აკადემიკოსიდან დაწყებული და მოწაფით გათავებული. დიდ საჯარო ბიბლიოთეკებს საცნობოების ფონდი რამდენიმე ათეულ ათასამდე აქვთ აყვანილი. მათ არ უჭირდებათ დაკომპლექტება რადგანაც საცნობო ლიტერატურა მდიდარია. ქართულ ენაზე საცნობოები თითქმის სულ არ მოიპოვება, მხედველობაში თუ არ მივიღეთ Hütte-ს ქართული გამოცემა, „მასწავლებლის თანამგზავრი“, „პროგრამები უმაღლეს სკოლაში შემსუფთოთავის“ და ზოგიერთი სხვა გამოცემა, რომელიც უკვე გამოილია წიგნის ბაზარზე. ამ ბროშურას ბოლოში დართული აქვს უსაჭიროეს საცნობოების სისტემატიზებული სია (II) ანოტაციებით და ამიტომ აქ მათ აღარ შევეხებით დაწვრილებით.

რუსულ ენაზე გამოცემულია რამდენიმე ათეული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ზოგადი და სპეციალური. საჭიროა ჩვენი ფონდისათვის შეძენილი იქნეს ყველაზე გავრცელებული მათ შორის: Большая советская энциклопедия და Малая советская энциклопедия, მეორე გამოცემა.

კარგად უნდა იყოს შერჩეული აგრეთვე ენობრივი ლექსიკონები. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას 4 000-ზე მეტი ლექსიკონი გააჩნია. ასეთ ლექსიკონებით შეცნეირი მუშაკისა და სპეციალისტის გარდა მასობრივი მკითხველიც სარგებლობს. ლექსიკონები მრავალი სხვადასხვა სახისაა. საჭიროა ბიბლიოგრაფიულ ფონდში იყოს უმთავრესი მათგანი, სახელდობრ:

1. თარგმნითი ლექსიკონები, როგორც მაგალითად რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული (ჩუბინაშვილის, პროფ. ი. აბულაძის პროფ. გ. ახვლედიანის, სახ. უნივერსიტეტის და სხვანი), რუსულ-ფრანგული და ფრანგულ-რუსული, ინგლისურ-ფრანგული და სხვა ამგვარი ლექსიკონები სხვა ენებისა.

2. ახსნითი ან ახსნა-განმარტებითი ლექსიკონები (толковые словари) ასე ვთქვათ „ქართულ-ქართული“ ან „რუსულ-რუსული“, როგორც მაგალითად სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, გამოცემული პროფ. აკ. შანიძის მიერ ან Даль-ის რუსული ლექსიკონი, ან კიდევ ზანდერის გერმანული ლექსიკონი და მსგავსი ლექსიკონები სხვა ენებზე.

3. ორთოგრაფიული (მართლწერის) ლექსიკონები, როგორც მაგალითად проф. Д. Н. Ушаков-ის Орфографический словарь;

ასეთი ლექსიკონები სხვა ენებზე (ქართული ორთოგრაფიული მხარე დასაბუქდალ).

4. უცხო სიტყვათა ლექსიკონები, მაგალითად ი. იმედაშვილის (მე-3 გამოცემა), პროფ. გ. ახვლედიანის, სახელგამის „უცხო სიტყვათა ლექსიკონები“; რუსულ ენაზე—Михельсон-ის (ძველი), პროფ. Юшманов-ის (ახალი) და სხვა ავტორებისა.

5. დიალექტოლოგიური ლექსიკონები, რომლებშიც კუთხური (პროვინციული) სიტყვების განმარტება არის მოცემული, მაგალითად ი. ჯყონიას „სიტყვის კონა“ ან ა. შანიძის „ვაჟას ლექსიკონი“ (მოთავსებულია ვაჟას ნაწერების I ტომში) და სხვა მსგავსი აგრეთვე სხვა ენებზე.

6. ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები—მათემატიკის, ანატომიის, ფიზიკის, ტექნიკური და სხვანი.

თავისთავად ცხადია, სასურველია, თუ ბიბლიოთეკა შეიძენს სხვა დარგის ლექსიკონებსაც, მაგალითად ეტიმოლოგიურს (როზენ-შიც სიტყვების წარმოშობა და ცვლილება არის განმარტებული), ონომასტიკური (სახელებისა), სინონიმების, ფსევდონიმების და სხვა სპეციალურ ლექსიკონებს. ბევრი მათგანი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ფრიალ გავრცელებულია აგრეთვე ე. წ. საცნობო ლექსიკონები (справочные словари), რომელიც გამოცემულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენაზე: ისტორიული (პიროვნებათა და მოვლენათა), გეოგრაფიული (ქალაქების, ოლქების, ქვეყნების), სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და სხვა დარგისა და აგრეთვე მწერალთა, მუსიკოსთა, მეცნიერთა და საზოგადოდ ბიოგრაფიული ლექსიკონები. მათი ზოგადი დახასიათება და კლასიფიკაცია ძნელია, რადგანაც თავის შინაარსით ეს ლექსიკონები ფრიალ განსხვავებული სახისაა. ზოგი მათგანი უახლოვდება პატარა სპეციალურ (დარგობლივ) ენციკლოპედიას, ზოგი მოკლე ახსნით ლექსიკონს, ზოგი საცნობოს და ზოგი სახელმძღვანელოს. ასეთებია მაგალითად словарь радио-терминов, морскою словарь для любителей морского дела, коммерческий словарь, музыкальный словарь, охотничий словарь და მრავალი სხვა. ცხადია, რომ ყველა ასეთი გამოცემაც უნდა შედიოდეს ბიბლიოგრაფიულ ფონდში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბიბლიოგრაფიულ განყოფილების ფონდში ბიბლიოთეკის ძირითად ფონდიდან უნდა გადატანილ იქნეს ერთი ეკზემპლარი მარქსიზმის კლასიკოსთა ყველა ნაწერებისა. მარქსის „კაპიტალს“, სტალინის „ლენინიზმის საფუძვლებს“



ბოლოში დართული აქვს საგნობრივი საძიებელი, რომელიც თურქულ-საქართველოში თოდ უნდა იყოს გამოყენებული ბიბლიოგრაფიული ცნობის ცენტრის დროს. ლენინის ნაწერების სრული კრებულისათვის ცალკე გამოცემული справочник-ი, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი (იხ. ანოტაცია), ერთბაშად აჩვენებს თუ რომელ ტომშია მოთავსებული ლენინის ესათუის სტატია, ან რომელ ტომშია განხილული ესათუის თემა და საკითხი.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში უნდა ყოველთვის ინახებოდეს სახელდახელო ცნობების ვასაცემად სრული კომპლექტი გაზეთებისა „Правда“, „Известия“, „კომუნისტი“ „Заря Востока“; გეოგრაფიული ატლასები და რუკები; სხვადასხვა გამომცემლობათა კატალოგები და პროსპექტები.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებისათვის გამოყოფილი და ცალკე თაროებზე დალაგებული ფონდი უნდა საგანგებოდ დამუშავდეს: შედგენილ იქნეს ორი კატალოგი—ერთი მარტივი ტოპოგრაფიული კატალოგი რვეულის სახით (რევიზიებისათვის) და ერთიც საგნობრივი კატალოგი კარტოთეკის სახით.

საგნობრივ კატალოგში სასურველია ჩაერთოს ანალიტიკური აღწერილობანი იმ ჟურნალების წლობრივი საძიებლებისა, რომლებიც ძირითად ფონდში (მთავარ წიგნთსაცავში) აწყვია. ჩაერთოს აგრეთვე ანალიტიკური აღწერილობანი ყველა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ბიბლიოგრაფიულ წყაროებისა. (თავისთავად ცხადია ყველა ამ ანალიტიკურ აღწერილობებს კატალოგში ჩართვამდე უნდა გაუკეთდეს საგნობრივი რუბრიკები). ამით საგნობრივი კატალოგი გაამდიდრდება თავის შინაარსით და განყოფილების თანამშრომელს ხელთ ექნება უფრო მეტი წყარო.

მაგრამ თუ ბიბლიოთეკის მუშაკს ეს რთულად ეჩვენა, შეიძლება ანალიტიკური აღწერილობანი ცალკე გააწყოს, ე. ი. ცალკე კარტოთეკის სახით ინახოს.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებისათვის ყველა ახლადშემდენილი წიგნები შეტანილი უნდა იქნეს ბიბლიოთეკის საერთო ინვენტარის წიგნში და შემდეგ გადაეცეს ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას. აქ, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ეს წიგნები უნდა ჩაიწეროს ტოპოგრაფიულ კატალოგში. შემდეგ მათზე უნდა შესდგეს საგნობრივი აღწერილობანი, რომელიც უნდა ჩაერთოს საგნობრივ კატალოგს.

საგნობრივი კატალოგი ბიბლიოგრაფიული განყოფილების წინადადი ფონდის კატალოგია. ამ კატალოგის გარდა განყოფილებაში უნდა გაიჩინოს მთელი რიგი ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები, ზოგი

დაბეჭდილი და ზოგი დამზადებული თვითონ განყოფილების მიერ. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები ბიბლიოგრაფიული აპარატის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ბიბლიოთეკის დამზადებულ კარტოთეკებზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი. აქ კი შევეხებით მხოლოდ დაბეჭდილ კარტოთეკებს.

დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს ადგენენ ახლად გამოსულ პოლიტიკურ, ეკონომიურ, ტექნიკურ და სხვა ლიტერატურაზე ან მთელ ბეჭდვით პროდუქციაზე და ბეჭდავენ უმთავრესად ლენინგრადსა და მოსკოვში. მათ შორის ბიბლიოთეკებში ყველაზე გავრცელებულია 1) საკავშირო წიგნის პალატის, 2) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის ინსტიტუტისა და 3) მძიმე მრეწველობის კომისარიატის სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის კარტოთეკები.

პირველს, ე. ი. საკავშირო წიგნის პალატის კარტოთეკას ადგენენ და ბეჭდავენ 1928 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში ყველა გამოსულ ბეჭდვით ნაწარმოებზე. ბიბლიოთეკები ამ კარტოთეკას იძენენ წინასწარი ხელისმოწერის გზით. ჩვეულებრივად იწერენ სრულ კომპლექტს, *) ორ ან სამ ცალად (ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგების შესადგენად). მაგრამ კარტოთეკის შექმნა შეიძლება ნაწილობრივადაც, დარგების მიხედვით. სულ 25 დარგია, მათ შორის: 1. მარქსიზმ-ლენინიზმი; 2. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და ფილოსოფიის ისტორია; 3. კომინტერნი. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი. რემედასი და ა. შ. კარტოთეკა ძვირფასია მით, რომ გვაძლევს ამომწურავ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა მონოგრაფიული ლიტერატურა გამოვიდა რუსეთში ამათუიმ დარგში წლების მიხედვით. გარდა ამისა 1937 წლიდან კარტოთეკაში არის მრავალი ე. წ. დამხმარე აღწერილობანი და მითითებანი, რომელნიც ბიბლიოთეკარს საშუალებას აძლევენ სანიმუშოდ ააწყოს კატალოგები.

მეორე კარტოთეკა—ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო საკვლევე ინსტიტუტის **) კარტოთეკა—გამოდის 1925 წლიდან და განკუთვნილია მასობრივ (საოლქო, საქალაქო, რაიონის და სოფლის) ბიბლიოთეკებისათვის. საუწყებო და ვიწრო სპეციალური ლიტერატურა და აგრეთვე მცირე

*) კომპლექტის ღირებულება = 900 მან.

**) მოგვეყავს ინსტიტუტის მისამართი: Москва, Сретенка, № 8
Научно-иссл. Институт Библиотекovedения и рекомендательной библиографии.

ტირაჟიანი (1000-ზე ნაკლები) გამოცემები ამ კარტოთეკაში არ შე-
დის. ამ კარტოთეკაში ყოველ აღწერილობას დართული აქვს ანოტაცია
ტაცია და საგნობრივი რუბრიკი. ამ კარტოთეკასაც ბიბლიოთეკები
ჩვეულებრივად ორ-სამ ცალად იძენენ ანბანური, სისტემატური და
საგნობრივი კატალოგის შესადგენად.

ორივე ეს კარტოთეკა—საკავშირო პალატისა და ბიბლიოთე-
კათმცოდნეობის ინსტიტუტისა—ბიბლიოთეკას შეუძლია ფართოდ
გამოიყენოს ბიბლიოგრაფიულ ცნობებისათვის და ანოტირებული
სარეკომენდაციო სიების შესადგენად სხვადასხვა თემაზე.

ტექნიკურ ბიბლიოთეკებში გავრცელებულია მძიმე მრეწველო-
ბის კომისარიატის სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის კარტოთე-
კა, რომელიც ცნობილია „Техкарт“-ის სახელწოდებით. იგი 1929
წლიდან გამოდის, ასევე ყოველწლიურად და სპეციალურ კარტოთე-
კას წარმოადგენს. შეიცავს იმ ლიტერატურას, რომელიც მძიმე მრე-
წველობის საკითხებს შეეხება. აღნუსხავს მხოლოდ მნიშვნელოვან
ნაშრომებს ტექნიკური ლიტერატურიდან—წიგნებს, საყურნალო და
საგაზეთო სტატიებს, რუსულსა და აგრეთვე უცხოურს. როგორც
გამომცემლობა აცხადებს, კარტოთეკა ნუსხავს თითქმის ამომწურა-
ვად ყველა იმ არსებითსა და მნიშვნელოვან ნაშრომებს, რომელიც
კი გამოდის ტექნიკურ ლიტერატურაში და რითაც შეიძლება დაინ-
ტერესდეს მძიმე მრეწველობის მუშაკი.

ყოველ აღწერილობას დართული აქვს ანოტაცია, საგნობრივი
რუბრიკი და დეციმალური ინდექსი. ამ კარტოთეკასაც ბიბლიოთე-
კები ორ-სამ ცალად იძენენ*).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული
კარტოთეკები ბიბლიოგრაფიული აპარატის უმნიშვნელოვანეს ნაწილს
შეადგენენ. მაგრამ არა ნაკლები და ხანდახან კიდევ უფრო მეტი მნიშ-
ვნელობა აქვთ ბიბლიოთეკაში დამხადებულ ბიბლიოგრაფიულ კარტო-
თეკებს სხვადასხვა თემაზე. თემატური ბიბლიოგრაფიული კარტოთე-
კების შედგენა ბიბლიოგრაფიულ განყოფილების ყოველდღიურ მუ-
შაობის პროგრამაში შედის. ამიტომ მას განვიხილავთ შემდეგ თავ-
ში, სადაც განყოფილების მუშაობასა და მკითხველთა მომსახურების
ორგანიზაციაზე გვაქვს საუბარი.

* მისამართი: Москва, пл. Ногина, здание НКТП, 4-ый подъез
(1-ый этаж) Государственная научная Библиотека НКТП СССР.

ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობა



კაპიტალისტურ ქვეყნებში ბიბლიოთეკა არსებობს თავისთვის და მკითხველიც თავისთვის. მკითხველის უფლებები წმინდა ფორმალურია, „ქალაღმზე სწერია“ და ბიბლიოთეკა ყველგან ფაქტიურად თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებისაგან მკითხველების მიმართ. მას ჩვეულებრივად ანგარიშსაც არ მოსთხოვენ.

ჩვენში მკითხველებისადმი მომსახურება განსაზღვრავს თვითონ არსებობას ბიბლიოთეკისას. ბიბლიოთეკისა და მისი ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობას აფასებენ იმით, თუ რამდენად ემსახურება იგი თავის მკითხველებს, რამდენად აკმაყოფილებს მათ ინტერესებსა და ყოველდღიურ მოთხოვნილებებს.

ამიტომ ჩვენ კარგად უნდა გავეცნოთ იმას, თუ რაში გამოიხატება მკითხველებისადმი მომსახურება. ჩვენი ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა მომსახურების პროგრამაში შედის: ინდივიდუალურ შეკითხვებზე ბიბლიოგრაფიული ცნობების შედგენა და გაცემა, კონსულტაცია სხვადასხვა წიგნებზე, სარეკომენდაციო სიებისა და კითხვის გეგმების შედგენა სხვადასხვა თემაზე, პერიოდული ინფორმაცია წიგნების შესახებ გამოფენებისა და პლაკატების საშუალებით, ლექციებისა და მოხსენების მოწყობა, თვითგანვითარების წრეების ორგანიზაცია და მათი მომსახურება, სალიტერატურო საღამოების მოწყობა, დახმარება ბიბლიოთეკის გამგეს სხვადასხვა მასობრივი მუშაობის ჩატარებაში.

ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ყველაზე დიდი ადგილი მუშაობის მოცულობით ჩვეულებრივად ცნობების გაცემას უკავია. მკითხველები ათასი სხვადასხვა კითხვით მიმართავენ ბიბლიოთეკას: რას ნიშნავს ესათუის უცხოური სიტყვა, რომელ სახელმწიფოშია ესათუის ქალაქი, რა წიგნში ამოიკითხოს ამათუიმ საგნის, მოვლენის თუ ცნების შესახებ, როდის ცხოვრობდა ესადაეს მწერალი თუ მეცნიერი და რაღარა ნაწერები ეკუთვნის მას, რა ლიტერატურა არსებობს ამადამ საკითხზე ანდა არსებული ლიტერატურიდან რომელია საუკეთესო ქართულ ან რუსულ ენაზე და სხვა და სხვა. ბევრ ასეთს კითხვაზე ბიბლიოთეკარი აძლევს ცნობებს სხვადასხვა ლექსიკონების, საცნობო წიგნების, ენციკლოპედიების, კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიული საძიებლების საშუალებით. საჭიროა, რომ ცნობების გაცემის დროს ბიბლიოთეკის თანამშრომელმა გააცნოს მკითხველს თვითონ ეს წყაროები, რომელიც მან გამოიყენა ცნობის გასაცემად და ასწავლოს ამ წყაროებით—ლექსიკონებით, ენციკლოპე-



დიებით, ბიბლიოგრაფიული და საცნობო ლიტერატურით გებლობა.

ხშირად ცნობის გასაცემად ამათუიმ თემაზე ბიბლიოთეკარს უხდება ლიტერატურის სიის შედგენა. ეს ე. წ. წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობაა (письменная библиографическая справка). ასეთ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ადგენს ცნობას ორ ცალად, ორ კარტაკზე. ერთს აძლევს მკითხველს, მეორე კარტაკს კი იტოვებს და შემდეგ ასეთ კარტაკებიდან ადგენს გაცემულ ცნობათა კარტოთეკას, რომელსაც იყენებს განმეორებითი შეკითხვებისათვის და აგრეთვე სხვა ბიბლიოთეკებთან ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისათვის.

ბიბლიოთეკებში წერილობითი ცნობები საგანგებო კარტაკებზე იწერება. კარტაკზე თავში აღნიშნულია ბიბლიოთეკის სახელწოდება შემდეგ, ქვევით: თემა, მკითხველის ხელისმოწერა და თარიღი; შემდეგ კითხვები: რა ლიტერატურა სჭირდება, რა მიზნით; მკითხველის პროფესია. მოგვყავს აქ გავრცელებული ფორმა (ბლანკი) წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობისათვის (იხ. 25—26 გვ.)

ასეთი კარტაკის დაბეჭდვა შეიძლება ყოველ რაიონულ სტამბაში. ოღონდ ქალაქი უნდა იყოს უსათუოდ მკვრივი (ისეთივე სისქის, როგორც საკატალოგო კარტაკებია). როგორც სურათიდან ჩანს ბიბლიოგრაფიულ ცნობის კარტაკი ორი ფრთისაგან შესდგება. დაკეცილის ფორმატი უდრის.— 16 X 10 სანტიმეტრს.

როგორც ვხედავთ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მუშაობისათვის საჭიროა ყოველმხრივი განათლება, საფუძვლიანი პოლიტიკური მომზადება და რევოლუციონური სიფხიზლე. გარდა ამისა ბიბლიოთეკის მუშაკი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს თავის ბიბლიოთეკის ფონდს, კარგად ერკვეოდეს წიგნებში და თვალს ადევნებდეს ახალ ლიტერატურას. მაგრამ ზოგჯერ ბიბლიოთეკას არა ჰყავს ისეთი კვალიფიკაციის თანამშრომელი, რომ ყველა ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს. ასეთ შემთხვევაში ბიბლიოთეკა უკავშირდება სხვადასხვა ორგანიზაციებს და მათი დახმარებით იწვევს სპეციალისტებს—აგრონომს, მასწავლებელს, ექიმს, ინჟინერს და სხვა სპეციალისტს, რომლებიც საზოგადოებრივი დატვირთვის სახით ეხმარებიან ბიბლიოთეკას თავის კონსულტაციით მკითხველთა მომსახურების საქმეში. დიდ საჯარო ბიბლიოთეკებს ჰყავთ დაქირავებული კონსულტანტები, რომელნიც გარკვეულ საათებში აძლევენ კონსულტაციას ინდივიდუალურ მკითხველებს ლიტერატურაში, ისტორიაში და სხვა დარგში.

ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიული განყოფილება

თემა _____

მკითხველის ხელმოწერა _____

თარიღი _____

1. რა ლიტერატურა სჭირდება მკითხველს (ზოგადი პოპულარული, ძირითადი-სამეცნიერო, სპეციალური)?
_____ (ხაზი გაუსვით)

2. რადარა ენაზე? _____

3. რადარა წლების? _____

4. რა ამოცანისათვის (ან ვისი დავალებით და სხვა)

5. მკითხველის სპეციალობა და თანამდებობა _____

ლიტერატურა მიაწოდა _____

(თარიღი) _____

ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში დიდი ადგილი უჭირავს ე. წ. სარეკომენდაციო სიებს, რომლებსაც დროგამოშვებით გამოაქრავენ ხოლმე ბიბლიოთეკაში მკითხველებისათვის. სარეკომენდაციო სიები — ეს არის საუკეთესო წიგნებისა და სტატიების სია რომელიმე აქტუალურ თემაზე, მაგალითად სტახანოვურ მოძრაობაზე, მოწინავე კოლმეურნეობებზე, ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლაზე, ჩეხოსლოვაკიაზე და მრავალ სხვა თემასა და საკითხზე. სარეკომენდაციო სიაში უნდა შეტანილი იყოს მხოლოდ ამონარჩევი წიგნები და სტატიები, რომელიც ყოველმხრივ დადებითად იყო შეფასებული საბჭოთა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში და საერთო პრესაში. ბიბლიოთეკარი ამოწმებს თვითეულ თხზულებას ისეთი ბიბლიოგრაფიული წყაროების მეოხებით როგორც არის „Летопись рецензий“, „Марксистско-Ленинская литература“, „Книга и пролетарская революция“, „Что читать“, „Книжные новости“, აგრეთვე იმ კრიტიკული წერილებითა და რეცენზიებით, რომელიც იბეჭდება „Правда“-ში და „Известия“-ში და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში — „კომუნისტში“, „ბოლშევიკში“, „მნათობში“.

ზოგიერთ ბიბლიოთეკას შედგენილი აქვს ჟურნალ-გაზეთების უკანასკნელ ნომრებიდან*) ამოკრეფილი რეცენზიების აღწერილობათა კარტოთეკა. უნდა გვანსოვდეს, რომ რეცენზიაზე ანალიტიკური აღწერილობა სდგება რეცენზირებული წიგნის ავტორით, ე. ი. კარტაკის პირველ სტრიქონზე ე. წ. „სარიგო სტრიქონზე“, იწერება რეცენზირებული წიგნის ავტორის გვარი, რეცენზენტის გვარი კი აღწერილობის ბოლოში (რეცენზიის აღწერილობის შემდეგ — ჟურნალის თუ გაზეთის სახელწოდება, წელი, № და გვერდი)

ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ ფართოდ უნდა გამოიყენოს აგრეთვე მზად შედგენილი სარეკომენდაციო სიები, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება. ასეთი ჟურნალებია „Красный Библиотекарь“, „Что читать“, „Пропагандист“, „Культурбота в РККА“ და სხვ. სარეკომენდაციო სიებს ბეჭდავენ აგრეთვე ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეთოდკაბინეტები და საჯარო ბიბლიოთეკები. ჩვენში ასეთი სიები დროგამოშვებით იბეჭდება გაზეთ „კომუნისტში“, მაგალითად: „სანიმუშო გეგმა მოხსენებისა და საუბრისა სსრ კავშირში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავის შესახებ“ („კომუნისტი“ 1938 წ., 1 ნომბ., № 251), რომელსაც დართული აქვს ლიტერატურა (იხ. აგრეთვე ზევით).

*) შენიშვნა: ძველ ნომრებში მოთავსებული რეცენზიები უკვე აღნიშნულია გამოცემაში — „Летопись Рецензий“



ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას უნდა ჰქონდეს ყველა ასეთი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი, ბიბლიოგრაფიული მასალები კარტოთეკა, მუდმივ უნდა ავსებდეს ამ კარტოთეკას ახალი და ახალი მასალებით და ამავე დროს იღებდეს კარტოთეკიდან მოძველებულ მასალებს.

ბიბლიოთეკის პრაქტიკაში დიდი გავრცელება აქვს აგრეთვე წიგნის პლაკატებს. პლაკატი წიგნის პროპაგანდის ერთერთი საშუალებაა. პლაკატში გამოხატავენ ყველაზე აქტუალურ წიგნებს, რომ ხელი შეუწყონ მათს გავრცელებას. პლაკატი შეუმჩნეველი რომ არ დარჩეს ბიბლიოთეკაში შემსვლელთათვის და მიიზიდოს მათი ყურადღება, მას მხატვრულად აფორმებენ. კარგ პლაკატს მხატვარს უკვეთავენ. პლაკატში ჩვეულებრივად მოთავსებულია მწერლის სურათი, თხზულებათა სათაურები მსხვილი ასოებით, ამონაწერები ამ თხზულებიდან. პლაკატში შეიძლება გამოხატული იქნეს სხვადასხვა ავტორის თხზულება ერთ რომელიმე თემაზე, ვთქვათ, საუკეთესო ისტორიული რომანები, ნარკვევები, პოლიტიკური სტატიები და სხვ. ერთი მეთოდური მითითება: პლაკატი არ უნდა იყოს გადატვირთული სურათებით; არ არის რაციონალური აგრეთვე ბევრი წიგნების აღნიშვნა. საუკეთესო პლაკატები, რომელიც რუსეთის სანიმუშო მასობრივი ბიბლიოთეკების მიერ არის დამზადებული იბეჭდება (ფოტოსურათების სახით) ჟურნალში „Красный библиотечарь“ (იხ. 1933-38 წლების ნომრები).

ამჟამად ბიბლიოთეკებში ამზადებენ აგრეთვე სპეციალურ პლაკატებს **საჟურნალო ხტატებზე**, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალების პროპაგანდისათვის მკითხველთა შორის. ჟურნალების პროპაგანდას და სტატიების გამოყენებას იმ ბიბლიოთეკებისათვის აქვს მნიშვნელობა, რომლებსაც მომცრო ფონდი აქვთ და დაინტერესებულნი არიან წიგნების ბრუნვის ზრდაში. პლაკატში ჩამოთვლილია ყველაზე საინტერესო სტატიები, რომელიც წინასწარ არის გულდასმით შერჩეული და აქვე ნაჩვენებია თუ რომელ ჟურნალშია დაბეჭდილი ეს სტატიები. მოგვყავს ამ პლაკატის სქემა.

ასეთი პლაკატის გარდა ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ყოველთვის გამოკრული უნდა იყოს ხოლმე იმ ჟურნალების სიაც, რომელიც მოსდის ბიბლიოთეკას, დაახლოვეთ შემდეგი სათაურებით (მსხვილი ასოებით): **ბიბლიოთეკას 1939 წელს მოსდის შემდეგი ჟურნალები ან:**

ბიბლიოთეკამ მიიღო ახალი ჟურნალები:

„ბოლშევიკი“ № 7.

„მნათობი“ № 6.

და ა. შ.



საინტერესო სტატიები ახალ ჟურნალებში:

	ავტორი, სათაური	რომელ ჟურნალშია დაბეჭდილი, წელი, №, გვერდები
1		
2		
3		
4		
5		

ახლა განვიხილოთ ის ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები, რომლებსაც ბიბლიოთეკები ადგენენ. ეს კარტოთეკები უმეტესად ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილ სტატიების აღწერილობებისაგან შესდგება. გავრცელებულია ორი ტიპის კარტოთეკა.

ერთი ზოგადი ხასიათისაა: ამ კარტოთეკაში შეაქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო სტატიები ყველა დარგებიდან, ხშირად ძალიან ფართოდ (ე. ი. დიდი რაოდენობით). იგი ყოველდღე ივსება და ამიტომ მას „მიმდინარე ბიბლიოგრაფიას“ ეძახიან. ამ კარტოთეკას ადგენენ საგნობრივი კატალოგის წესების მიხედვით. საშუალო კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარს მისი შედგენა უჭირდება ხოლმე და ამიტომ მასობრივ ბიბლიოთეკებში იგი ფეხს ვერ იკიდებს. ამას გარდა მას ერთი უარყოფითი მხარე აქვს. იმ ბიბლიოთეკებში, სადაც ადგენენ ამ კარტოთეკას და ავსებენ მას ჩვეულებრივად როგორც ქართული ისე რუსული სტატიებით, წლის დამლევს უგროვდებათ რამდენიმე ათასი კარტაკი რამდენიმე ასეულ თემაზე. დიდი უმეტესობა ამ თემებისა გამოუსყენებელი რჩება. ამასთანავე ერთად, ხდება ისე რომ იმავე წელში, როდესაც დაწყებული იყო „მიმდინარე ბიბლიოგრაფიის“ შედგენა, ხშირად 2—3 თვის შეკდეგ გამოდის „Журнальная Летопись“, „Газетная Летопись“ და „გაზეთის წერილების მატრიანე“, რომლებშიც იგივე „მიმდინარე ბიბლიოგრაფია“ მოცემულია უფრო ვრცლად (დემიფრაციით) და რაც მთავარია, ამომწურავად და სისტემატიზირებულ სახით. აშკარაა რომ მატრი-



ნების თავის დროზე გამოსვლა სრულებით ზედმეტად ვაჭიანობს ბიბლიოთეკებში „მიმდინარე ბიბლიოგრაფიაზე“ ამაოდ დროისა და სახსრების ხარჯვას. წიგნის პალატები ცდილობენ თვის დამთავრების უმაღლეს გამოსცენ მატრიანეები, კერძოდ „ვახუთის სტატიების მატრიანე“ თითქმის ყოველთვის დაუგვიანებლივ გამოდის.

გადავდივართ იმ კარტოთეკაზე, რომელიც უფრო გავრცელებულია ბიბლიოთეკებში. ეს არის კარტოთეკა სხვადასხვა წინასწარ ამორჩეულ თემებზე. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში მას თემატურ კატალოგს და თემატურ ბიბლიოგრაფიას (ან თემატურ კარტოთეკას) უწოდებენ. პირველი, ე. ი. კატალოგი, მას იმ შემთხვევაში ეწოდება თუ ის შეიცავს მხოლოდ იმ სტატიებსა და წიგნებს, რომელიც მოცემული ბიბლიოთეკის ფონდში მოიპოვება. მაგრამ თუ ის შეიცავს არა მარტო ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას მოცემულ თემებზე არამედ საზოგადოდ ყველა წიგნსა და სტატიას, რომელიც კი გამოსულა სადაც არ უნდა იყოს, — მაშინ ის ბიბლიოგრაფიაა, ამათუიმ თემაზე ან რამდენიმე თემაზე დაგროვილი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ისე როგორც ბიბლიოთეკებში უწოდებენ ხოლმე — **თემატური ბიბლიოგრაფია**, ე. ი. ბიბლიოგრაფია რამდენიმე თემაზე.

ამგვარი ბიბლიოგრაფიის შედგენა არავითარ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა საჭიროა მხოლოდ იცოდეს ანალიტიკური აღწერილობის შედგენა და მუყაითად თვალი ადევნოს ქართულ და რუსულ ეჟრნალ-ვახუთებს, რომ არ გამოჩნდეს სტატიები გარკვეულ თემებზე და ამოსწეროს ეს სტატიები. გაწყობის ტექნიკა უაღრესად მარტივია: ყოველი თემის სახელწოდება იწერება გამყოფ კარტაკზე, ამ კარტაკის უკან კი ალაგებენ ყველა იმ აღწერილობებს, რომელიც მას შეესატყვისება. ბიბლიოგრაფიული განყოფილება წინასწარ განსაზღვრავს თემატიკას. შეიძლება მან აიღოს 10, 15, 20 და კიდევ მეტი თემა და ამოსწეროს ეჟრნალ-ვახუთებიდან (და აგრეთვე წიგნებიდან) სტატიები ამ თემებზე. გავრცელებულია შემდეგი აქტუალური თემები: საკ. კ. პ. (ბ) დადგენილებანი; საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლასთან დაკავშირებული სტატიები; სსრკ უმაღლესი საბჭო (I სესია, II სესია); სტახანოვური მოძრაობა (ძირითადი მასალები); სტახანოვური მოძრაობა საქართველოში (მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა და ა. შ.); მოწინავე კოლმეურნეობანი; ანტირელიგიური ლიტერატურა; საკ. ა. ლ. კ. კ.; ლიტერატურული მიმოხილვები; ნარკვევი; რეცენზიები წიგნებზე, წარმოდგენებზე, კინოსურათებზე, კონცერტებზე; პარაშუ-



